

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი თავისუფლების N65

26 მარტი 2019 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ასევე საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამატების მიღებულმა ტრანსფერმა. კერძოდ, მუნიციპალიტეტი გათავისუფლდა თანადაფინანსების ვალდებულებისაგან და ამ მიზნით რგპფ -ით გამოყოფილი თანხა 123,7 ათასი ლარით გაიზარდა, ასევე 230,0

ათასი ლარით გაიზარდა სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი. ცვლილებები შეეხება შემდეგ საბიუჯეტო პროგრამებს. პროგრამების ჩამონათვალი ოქმს დანართის სახით თან ერთვის.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/დანართი N 2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე